ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4789928

ნომერი: AR1723228

თარიღი : 06.12.2019

გაცემის თარიღი : 18.12.2019

გაცნობის თარიღი : 20.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პავლე თავხელიძე პ/ნ 60001146086
- ქუთაისი მ.კოსტავას ქ. N 84

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ავერსი–ფარმა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 211386695
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ფურცელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026002800

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან კაკაბაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

-ვინაიდან ხდება ანტრესოლის დაშლა და შემდგომ აღდგენა საჭიროა საკითხი ატვირთოთ შესაბამის ნომენკლატურაში - სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც გირთავთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკს.
ასევე გაცნობებთ:
-განმარტეთ შპს „გეომას“ კუთვნილ ნაწილს ეხებით თუ არა და საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ თანხმობა.
ასევე გაითვალისწინეთ მინდობილობა ძალაშია 2019 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.
.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი: წარმოადგინეთ განმარტებითი ბარათი, ასევე მოცემულ ველში ატვირთეთ არსებული სიტუაციის ამსახველი ნახაზებიც. გაითვალისწინეთ ძეგლის არქიტექტურული პროექტი ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი შემსრულებლის მიერ.
.მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: გრაფიკში საუბარი გაქვთ სადემონტაჟო სამუშაოების შესახებ. გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციაში "დემონტაჟი"–ს სამუშაოები არ უნდა იყოს ნახსენები; ამასთანავე განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია– დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება". შესაბამისად შეასწორეთ მშენებლობის ორგანიზების პროექტის კალენდარული გრაფიკი.
.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევა. -> . ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევის pdf ფაილი. : წარმოადგინეთ აღნიშნული.

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.